



აპრილი, 2022

## ყოველთვიური ეკონომიკური მიმოხილვა\*

### თვის მნიშვნელოვანი მაჩვენებლები

- მარტში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 10.6% შეადგინა.
- აპრილში წლიური ინფლაცია 12.8%-ს გაუტოლდა.
- აპრილში წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებით 5.7%-ით, ხოლო ევროს მიმართ 7.2%-ით გამყარების ტენდენციას ავლენს.

მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო პოლიტიკის განყოფილება

ელ-ფოსტა: [pbo@parliament.ge](mailto:pbo@parliament.ge)


\*სტატისტიკური ინფორმაციის გამომქვეყნების კალენდრის მიხედვით ზოგიერთი მონაცემი წარმოადგენს წინა თვის ცვლადს



პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, 2022 წ.

# 1. რეალური და ფისკალური სექტორი

რეალური მშპ-ის ზრდა (%)




მარტის თვეში დადებითი ეკონომიკური ზრდა 10.6%-ის ნიშნულზე დაფიქსირდა.

წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2022 წლის მარტის თვეში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 10.6% შეადგინა.


პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2022 წლის მარტში, წინა თვესთან შედარებით, რეალური მშპ-ის ზრდის ანუალიზებულმა ტემპმა<sup>1</sup> 5.0% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო თვეების განმავლობაში პანდემიამდე, 2019 წელთან შედარებით ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპები შეინიშნება.

ეკონომიკის ზრდა 2019 წელთან შედარებით




სამომხმარებლო ფასების დონის ცვლილება (%)



აპრილში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია 12.8%-ს შეადგენს.


წინა წლის აპრილთან მიმართებით, 2022 წლის აპრილში ინფლაციის დონე 12.8%-ით განისაზღვრა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3%-იან მაჩვენებელზე მეტი. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების დინამიკამ სურსათსა და უაღკოპოლო სასმელებზე, ტრანსპორტზე, საცხოვრებელზე, წყალზე, ელ. ენერჯიაზე, აირზე, ავეჯის, საოჯახო ნივთების და სახლის მოვლაზე, სასტუმროებზე, კაფეებსა და რესტორნებზე, აგრეთვე, ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოზე. 2022 წლის მარტში მშპ-ის წლიურმა საპროგნოზო დეფლატორმა 9.9% შეადგინა.

წვლილი აპრილის ინფლაციაში (%)



<sup>1</sup> წინა თვესთან შედარებით ანუალიზებული რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი რეალური მშპ-ის მონაცემების საფუძველზე სეზონურობისა და შემთხვევითი რყევების ამორციხვით დგინდება და წარმოადგენს შესწორებული ტრენდის განვლიერებულ მაჩვენებელს.


**ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდო**  
(მლნ ლარი)




**მარტში ნაერთი ბიუჯეტის დადებითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.**

2022 წლის მარტში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 43.3%-ით, ხოლო ხარჯები 18.0%-ით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის დადებითი საოპერაციო სალდო 318.4 მლნ ლარით, ხოლო ასევე დადებითი მთლიანი სალდო 73.8 მლნ ლარით განისაზღვრა.

**შემოსავლები და ხარჯები**  
(მლნ ლარი)



**ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხები**  
(მლნ ლარი)




**მარტში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეროვნულ ეკონომიკაზე როგორც ლარში, ასევე უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები ზრდის ტენდენციას ავლენს.**

წინა წლის მარტთან მიმართებით, 2022 წლის მარტში კომერციული ბანკების მიერ გაცემულმა სესხებმა 11.0%-ით მოიმატა და 42.4 მლრდ ლარი შეადგინა. მათ შორის, ლარში გაცემული სესხები 23.2%-ით გაიზარდა, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები 1.1%-ით. უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანი სესხების ნახევარზე მეტი (52.2%) შინამეურნეობებზე მოდის.


რაც შეეხება გაცემული სესხებს საქმიანობის სახეების მიხედვით, ყველაზე მეტი 24.4% გაცემულია მრეწველობის დარგში, 18.7% ვაჭრობის, 15.0% მშენებლობის, 10.6% სასტუმროებისა და რესტორნების და 2.9% ფინანსური შუამავლობის დარგში.

**სესხები საქმიანობის სახეების მიხედვით**  
(ნაკადები) (მლნ ლარი)



## 2. საგარეო სექტორის ინდიკატორები


საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები  
(მლნ აშშ დოლარი)  
იანვარი-მარტი




იანვარ - მარტში, წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, გაიზარდა როგორც საქონლის ექსპორტი, ასევე იმპორტი.

2022 წლის იანვარ - მარტში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ექსპორტი 43.3%-ით, ხოლო იმპორტი 35.7%-ით გაიზარდა, რაც ძირითადად სავაჭრო ბრუნვის გაზრდით არის გამოწვეული, რამაც (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 3,865 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 37.9%-ით გაიზარდა. ამ პერიოდში ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 30.3%-ით განისაზღვრა. უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნებიდან ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა ჩინეთში (100.9%-ით), აზერბაიჯანში (19.9%-ით), რუსეთში (2.8%-ით), თურქეთში (31.2%), ბულგარეთში (59.2%-ით), აშშ-ში (173.9%-ით), ყაზახეთსა (149.7%-ით) და სომხეთში (100.2%-ით). ამ პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა ექსპორტი უკრაინაში (25.6%-ით). საექსპორტო საქონლის მიხედვით განსაკუთრებული ზრდა შეიმჩნევა აბოტოვანი სასუქების (166.6%-ით), ფეროშენადნობის (91.3%-ით), ძვირფასი ლითონების მადნების (75.4%-ით), სპილენძის მადნების (71.0%-ით), სამკურნალო საშუალებების (49.1%-ით), ოქროს (47.9%-ით) ჯგუფებში.

უმსხვილესი საექსპორტო საქონელი  
(იანვარი - მარტი)




ფულადი გზავნილები (%)  
მარტი



მარტში ფულადი გზავნილები გაიზარდა.

წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2022 წლის მარტში საქართველოში ფულადი გზავნილები 2.6%-ით გაიზარდა და 193.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მარტის თვეში გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (გზავნილების მთლიანი ოდენობის 44.6%), რუსეთი (14%) და აშშ (13.3%) წარმოადგენენ. წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გზავნილების მოცულობამ მნიშვნელოვნად მოიმატა შემდეგი ქვეყნებიდან: იტალიიდან (18.2%-ით), აშშ-დან (6.3%-ით), ისრაელიდან (8.6%-ით), ყაზახეთიდან (217.1%-ით), ესპანეთიდან (5.2%-ით), საფრანგეთიდან (25.7%-ით), გაერთიანებული სამეფოდან (55.8%-ით), გერმანიიდან (34.5%-ით), ხოლო შემცირდა უკრაინიდან (99.2%-ით), რუსეთის ფედერაციიდან (16.1%-ით), საბერძნეთიდან (8.3%-ით) და თურქეთიდან (11.9%-ით).


ფულადი გზავნილები  
(მლნ აშშ დოლარი)  
იანვარი - მარტი




**2022 წლის აპრილში საერთაშორისო რეზერვებმა 3,826 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.**

2022 წლის აპრილში საერთაშორისო რეზერვების მოცულობამ 3,826 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და 2021 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 7.5%-ით შემცირდა, წინა თვესთან მიმართებით კი - 5.1%-ით. 2022 წლის აპრილში ეროვნული ბანკის მიერ სავალუტო ინტერვენციები არ განხორციელებულა.

**მთლიანი საერთაშორისო რეზერვები**  
(მლნ აშშ დოლარი)



**საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები და შემოსავლები საერთაშორისო მოგზაურობიდან**



**2022 წლის აპრილში გაიზარდა როგორც საერთაშორისო მოგზაურების, ასევე საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტები.**

2022 წლის აპრილში საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობამ 244,293 შეადგინა, რაც 184.9%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები მოიცავს საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტებსაც, რომელიც აპრილის თვეში 214,644 იყო (ზრდა წინა წლის აპრილის თვის ანალოგიურ მაჩვენებელთან 160.1%).


2022 წლის მარტში\* შემოსავლებმა საერთაშორისო მოგზაურობიდან 174.5 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 145.0 მლნ აშშ დოლარით მეტია 2021 წლის მარტის თვის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

### 3. მონეტარული სექტორის ინდიკატორები


მარტში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სარეზერვო ფულის მასა კლების ტენდენციით ხასიათდება.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2022 წლის მარტში სარეზერვო ფულის მასა 2.3%-ით შემცირდა. ფულის M2 აგრეგატი 16.7%-ით მოიმატა, ხოლო M3 აგრეგატის ზრდის ტემპი 4.1%-ს გაუტოლდა. აპრილში წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ 12.8% შეადგინა.

ფულის მასა და სამომხმარებლო ფასები  
%-ლი ცვლილება




დეპოზიტები და დოლარიზაციის კოეფიციენტი  
(მლნ ლარი)




მარტში, წინა თვესთან შედარებით, როგორც დეპოზიტებზე, ასევე სესხებზე შემცირდა დოლარიზაციის მაჩვენებელი.

2022 წლის მარტში დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 0.77%-ული პუნქტით შემცირდა და 58.2%-ით განისაზღვრა, სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელმა კი 0.64%-ული პუნქტით მოიკლო და 50.4% შეადგინა. წინა თვესთან მიმართებით, 2022 წლის მარტში ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტები 0.1%-ით გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობა 3.0%-ით შემცირდა.

სესხები და დოლარიზაციის კოეფიციენტი  
(მლნ ლარი)



საბაზრო საპროცენტო განაკვეთები სესხებსა და დეპოზიტებზე (%)



მარტში, წინა თვესთან მიმართებით, საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე 0.3%-ული პუნქტით, ხოლო სესხებზე 0.2%-ული პუნქტით შემცირდა.

2022 წლის მარტში საბაზრო საპროცენტო განაკვეთმა სესხებზე 12.6% შეადგინა, ხოლო დეპოზიტებზე 7.0%-ით განისაზღვრა. საპროცენტო განაკვეთის სპრედმა (სხვაობა სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის) 2022 წლის მარტის მდგომარეობით 5.6% შეადგინა, 0.4%-ული პუნქტით ნაკლები წინა წლის მარტთან შედარებით.


საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის 2022 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით რეფინანსირების განაკვეთი 0.5 პპ-ით 11.0%-მდე გაიზარდა.

**აპრილში, წინა თვესთან მიმართებით, ლარის კურსი როგორც აშშ დოლარის, ასევე ევროს მიმართ გამყარების ტენდენციას ავლენს.**

2022 წლის აპრილში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 5.7%-ით, ევროს მიმართ 7.2%-ით, ხოლო თურქულ ლირასთან მიმართებით 6.4%-ით გამყარდა. ამავე პერიოდში გამყარდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსიც. რაც შეეხება შედარებას გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, 2022 წლის აპრილში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 12.1%-ით, ევროს მიმართ 23.1%-ით, თურქული ლირას მიმართ კი 101.9%-ით გამყარდა.

ლარის გაცვლითი კურსის ინდექსები


(ინდექსის ზრდა ნიშნავს ლარის გამყარებას, კლება - გაუფასურებას)




## 4. რეგიონული მიმოხილვა

აპრილში, რეგიონის ქვეყნებში, გარდა თურქეთისა, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია დაახლოებით ერთნაირი დინამიკით ხასიათდება.

კერძოდ, 2022 წლის აპრილში თურქეთში წლიურმა ინფლაციამ 70% შეადგინა. შედარებით დაბალი იყო ინფლაციის დონე სომხეთში (8.4%). რაც შეეხება აზერბაიჯანსა\* და რუსეთს\*, 2022 წლის მარტის მდგომარეობით, სამომხმარებლო ფასები წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით აზერბაიჯანში 12.1%-ით, ხოლო რუსეთში 16.7%-ით გაიზარდა.



გაცვლითი კურსის წლიური ცვლილება  
აპრილი, 2022



აპრილში რეგიონის ქვეყნების ვალუტების გაცვლითი კურსების ნაწილი აშშ დოლართან მიმართებაში გამყარების, ხოლო ნაწილი გაუფასურების ტენდენციას ავლენს.

კერძოდ, 2022 წლის აპრილში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აშშ დოლართან მიმართებაში გამყარდა სომხური დრამი (11.8%-ით) და აზერბაიჯანული მანათი (0.3%-ით), ხოლო თურქული ლირა (44.5%-ით) და რუსული რუბლი (5%-ით) გაუფასურდა.

## ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შემოჯამებული ცხრილები

### ცხრილი N1. ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები

		აპრ 21	მაის 21	ივნ 21	ივლ 21	აგვ 21	სექ 21	ოქტ 21	ნოვ 21	დეკ 21	იან 22	თებ 22	მარ 22	აპრ 22
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი (%)	44.8	25.8	18.7	9.9	10.3	6.9	6.9	12.0	9.6	18.0	14.6	10.6	
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი (%)	93.4	50.3	37.5	26.5	31.2	24.0	25.6	32.6	31.2	39.8	27.3	24.4	
მონეტარული სექტორი	ინფლაცია (%)	7.2	7.7	9.9	11.9	12.8	12.3	12.8	12.5	13.9	13.9	13.7	11.8	12.8
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (%)	9.50	9.50	9.50	9.5	10.0	10.0	10.0	10.0	10.5	10.5	10.5	11.0	11.0
	დეპოზიტების დოლარიზაცია (%)	0.63	0.62	0.61	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	
	სესხების დოლარიზაცია (%)	0.56	0.54	0.53	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი (ლარი)	3.44	3.38	3.16	3.13	3.12	3.12	3.14	3.14	3.10	3.08	3.01	3.24	3.07
	გზავნილები (ათასი აშშ დოლარი)	194,057	187,714	201,898	208,428	204,893	209,750	206,691	207,338	229,487	168,840	183,419	193,065	
	ექსპორტი (მლნ აშშ დოლარი)	377.7	340.0	350.7	386.3	335.1	373.6	411.2	430.4	419.5	331.3	429.0	411.4	
	იმპორტი (მლნ აშშ დოლარი)	756.3	770.1	863.7	882.6	868.1	958.3	936.2	1033.3	1050.3	800.6	998.6	894.0	
	სავაჭრო ბალანსი (მლნ აშშ დოლარი)	-378.6	-430.1	-513.1	-496.2	-533.0	-584.7	-524.9	-603.0	-630.8	-469.3	-569.6	-482.6	
	საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	4,136	4,154	3,918	3,873	4,117	4,077	3,959	3,928	4,272	4,078	3,993	4,031	3,826
ფისკალური სექტორი	შემოსავლები (მლნ ლარი)	1,006.6	1,002.9	1,482.2	1,269.4	1,296.6	1,300.5	1,278.7	1,420.0	1,707.4	1,485.1	1,292.1	1,731.5	
	მიმდინარე ხარჯები (მლნ ლარი)	1,344.7	1,148.9	1,272.0	1,391.2	1,113.9	1,208.4	1,303.1	1,256.0	1,934.4	1,185.8	1,226.2	1,413.1	
	კაპიტალური ხარჯები (მლნ ლარი)	250.2	222.8	496.1	243.1	308.1	479.9	248.2	296.6	798.8	193.9	218.0	304.2	

ზრდა
  კლება
  ცვლილება < 1%

ცხრილი N2<sup>2</sup>. ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება გასული წლის შესაბამისი თვის ანალოგიურ მონაცემებთან.

		აპრ 21	მაისი 21	ივნ 21	ივლ 21	აგვ 21	სექ 21	ოქტ 21	ნოვ 21	დეკ 21	იანვ 22	თებ 22	მარ 22	აპრ 22
<b>რეალური სექტორი</b>	მშპ-ს ზრდის ტემპი													
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
<b>მონეტარული სექტორი</b>	ინფლაცია													
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
	დეპოზიტების დოლარიზაცია													
	სესხების დოლარიზაცია													
<b>საგარეო სექტორი</b>	გაცვლითი კურსი													
	გზავნილები													
	ექსპორტი													
	იმპორტი													
	სავაჭრო ბალანსი													
	საერთაშორისო რეზერვები													
<b>ფისკალური სექტორი</b>	შემოსავლები													
	მიმდინარე ხარჯები													
	კაპიტალური ხარჯები													

ცხრილი N3. ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება წინა თვის ანალოგიურ მონაცემებთან.

		აპრ 21	მაისი 21	ივნ 21	ივლ 21	აგვ 21	სექ 21	ოქტ 21	ნოვ 21	დეკ 21	იანვ 22	თებ 22	მარ 22	აპრ 22
<b>რეალური სექტორი</b>	მშპ-ს ზრდის ტემპი													
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
<b>მონეტარული სექტორი</b>	ინფლაცია													
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
	დეპოზიტების დოლარიზაცია													
	სესხების დოლარიზაცია													
<b>საგარეო სექტორი</b>	გაცვლითი კურსი													
	გზავნილები													
	ექსპორტი													
	იმპორტი													
	სავაჭრო ბალანსი													
	საერთაშორისო რეზერვები													
<b>ფისკალური სექტორი</b>	შემოსავლები													
	მიმდინარე ხარჯები													
	კაპიტალური ხარჯები													

<sup>2</sup> ცხრილ N2 და N3-ში წარმოდგენილი მონაცემები აღებულია ცხრილი N1-დან.